



მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ კასპის ცემენტის ქარხნის
ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის
სკოპინგის ანგარიშზე

5 აპრილი, 2022

წარმოგიდგინებ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2022 წლის 15 მარტს საჯარო განხილვისათვის [გამოქვეყნებულ](#) შპს „ჰაიდელბერგცემენტ ჯორჯიას“ ცემენტის ქარხნის ექსპლუატაციის პირობების ცვლილების პროექტის სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, ბუნდოვანია რა არის საქმიანობის არსი. დოკუმენტის სათაურის თანახმად, განიხილება „კასპის ცემენტის ქარხანაში ალტერნატიულ საწვავად საბურავების და გამომუშავებული ზეთების გამოყენებასთან დაკავშირებით საწარმო ექსპლუატაციის პირობების შეცვლის პროექტის სკოპინგის ანგარიში“. დოკუმენტის შინაარსიც სრულად ეთმობა ალტერნატიულ საწვავად საბურავების და გამომუშავებული ზეთების გამოყენების საკითხს. თუმცა, ანგარიშის 3.2. თავში აღნიშნულია:

ამ სკოპინგის ანგარიშის მიზანია ასახოს კასპის ცემენტის ქარხანაში დაგეგმილი შემდეგი ცვლილებები:

- ძველი ტექნოლოგიური სველი კლინკერის წარმოების ხაზების გაუქმება/დემონტაჟი, რაზედაც გაცემულია სკრინინგის გადაწყვეტილება (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 23.04.2021. N 2-522 ბრძანება).
- ალტერნატიული საწვავის სახით, ნარჩენი საბურავების და ნარჩენი ზეთების გამოყენება.
- კასპის მშრალი კლინკერის წარმოების ხაზის წარმადობის გაზრდა (ხაზის საპროექტო წარმადობის ზევით)“.

დოკუმენტში საერთოდ არ არის განხილული ძველი წარმოების ხაზების გაუქმება/დემონტაჟისა და წარმადობის გაზრდის გეგმა. ამდენად ვიმედოვნებთ, რომ სკოპინგის დასკვნაც მხოლოდ ალტერნატიული საწვავის გამოყენებაზე გაიცემა.

ქ. კასპში ჰაერის დაბინძურების თვალსაზრისით არსებული უმძიმესი მდგომარეობის გათვალისწინებით, დაგეგმილი საქმიანობის საჭიროების დასაბუთება ადგილობრივ მაცხოვრებლებსა და საწარმოში დასაქმებულ ადამიანთა ჯანმრთელობის კონტექსტში, ისევე როგორც ხმაურის შემოქმედება და ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ანალიზი წარმოადგენს იმ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, რომელთა შეფასების გარეშე შეუძლებელია გაიცეს სკოპინგის დასკვნა. შემოთჩამოთვლილი საკითხები შედაპირულად არის შესწავლილი და წარმოდგენილი ანგარიშში. ქვემოთ წარმოგიდგინებ ჩვენს შენიშვნებს საკვანძო საკითხებთან დაკავშირებით.

ატმოსფერული ჰაერის დაბინძურება, ხმაური, სუნი

ქ. კასპში, ფარნავაზის ქუჩის (ქარხნის დასახლების) მაცხოვრებლების უკმაყოფილების ერთ-ერთი მიზეზი ატმოსფერული ჰაერის დაბინძურებას და საწარმოს მუშაობით გამოწვეულ ხმაურს და ქვანახშირის წვის შედეგად წარმოქმნილ სუნს უკავშირდება.

ქარხანა 24 საათის განმავლობაში მუშაობს. როგორც, ადგილობრივები ამბობენ ღამის განმავლობაში მუდმივად არის ხმაური, რაც მათთვის შემაწუხებელია. სკოპინგის ანგარიშში არ არის შესწავლილი ხმაურის ზემოქმედება საწარმოს მიმდებარედ მცხოვრებ ადამიანებზე. მიუხედავად იმისა, რომ გაანგარიშებები დოკუმენტში არ არის, წარმოდგენილი დოკუმენტში ვკითხულობთ: „წინამდებარე ანგარიშში მოცემული გაანგარიშებების შედეგების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების და ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება არ იქნება მნიშვნელოვანი“. არსად არ არის დაკონკრეტებული რამდენი იქნება დაშორება უახლოეს საცხოვრებელ სახლამდე. შესაბამისად, არც გათვლები არ არის გაკეთებული რამდენი იქნება გაფრქვევა უახლოეს დასახლებულ პუნქტთან.

საერთოდ არ არის გათვალისწინებული სუნის პრობლემა, რომლიც აუცილებლად თან ახლავს საბურავებისა და მეორადი ზეთების წვას.

რაც შეეხება შემარბილებელ ღონისძიებებს, ეს ნაწილიც ზედაპირულად არის მომზადებული და შემარბილებელი ქმედებები მხოლოდ ქარხანაში დასაქმებულ პერსონალზეა გათვლილი (მაგ. ყურსაცმებით აღჭურვა, პერსონალის ინსტრუქტაჟი და ა.შ).

კომპანიამ უნდა უზრუნველყოს უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ხმაურის დონეების და ატმოსფერულ ჰაერში არაორგანული და ცემენტის მტვრის განსაზღვრა. მოამზადოს ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი. უახლოეს საცხოვრებელ სახლებთან ატმოსფერულ ჰაერში ზღვ-ბის, ასევე, ხმაურის დონეების გადაჭარბების შემთხვევაში, კი განსაზღვროს სათანადო შემარბილებელი ღონისძიებები.

ნიადაგის დაბინძურება

როგორც დოკუმენტიდან ირკვევა, ალტერნატიულ საწვავად საბურავების და გამომუშავებული ზეთების გამოყენების მოწყობილობის ოპერირების პროცესში შეიძლება მოხდეს ნიადაგის და გრუნტის დაბინძურება. 9.3 ქვეთავში წარმოდგენილია შემარბილებელი ღონისძიებები, როგორცაა: ნავთობპროდუქტების დაღვრის შემთხვევაში, დაღვრილი მასალის ლოკალიზაცია და დაბინძურებული უბნის დაუყოვნებლივი გაწმენდა; დაბინძურებული ნიადაგის ტერიტორიიდან გატანა შემდგომი რემედიაციისათვის და ა.შ. თუმცა არაფერია ნათქვამი, არის თუ არა ნავთობპროდუქტების განსათავსებელი ტერიტორია უკვე მოპირკეთებული (მობეტონებული) ან მსგავს რამეს გეგმავს თუ არა მომავალში კომპანია.

ტრანსპორტირების ზემოქმედება

ტრანსპორტირებით გამოწვეულ ზეგავლენასთან დაკავშირებით, 9.9 ქვეთავში ვკითხულობთ, რომ „ოპერირების ეტაპზე სატრანსპორტო ნაკადების ინტენსივობის მომატება ან გზების საფარის დაზიანება არ არის მოსალოდნელი. აღნიშნული არ შეაფერხებს სატრანსპორტო ნაკადებს და არ გამოიწვევს მოსახლეობის უკმაყოფილებას.“ ქ. კასპის მაცხოვრებლების ძირითადი წუხილი სწორედ ნელელეულის ტრანსპორტირებიდან გამოწვეულ ხმაურს, ჰაერის დაბინძურებას და გზების დაზიანებას ეხება. შესაბამისად, ეს საკითხი დეტალურ შესწავლას საჭიროებს.

ანგარიშში ტრანსპორტირებიდან გამოწვეული ზემოქმედების ერთ-ერთ შემარბილებელ ღონისძიებად სატრანსპორტო გზების პერიოდული მორწყვა მოიაზრება. რამდენ ხანში ერთხელ უზრუნველყოფს ამას კომპანია დაზუსტებული ადარ არის (დღეში ერთხელ, კვირაში ერთხელ თუ ა.შ). ასევე, დასაზუსტებელია გეგმავს თუ არა კომპანია საწარმოდან გამავალი ავტოტრანსპორტის საბურავებისა და ძარის გარეცხვას.

სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გაწმენდა

სკოპინგის 4.3.3. ქვეთავში ვკითხულობთ, რომ „სანიაღვრე წყლები, სალექარში მოხვედრამდე, გაივლიან გაწმენდას ნავთობდამჭერში (სეპარატორში). შესაბამისად ძირითადი ჩაშვება ხორციელდება ფილტრაციით სალექარის ფსკერიდან, ხოლო უშუალოდ ლეხურაში ჩაშვება მოხდება მხოლოდ სალექარის გადავსების შემთხვევაში“. დასაზუსტებელია, რამდენხანში ერთხელ ხდება წლის ჩაშვება მდ. ლეხურაში; რამდენად საკმარისია არსებული სალექარი წყლის მოსალოდნელი რაოდენობის გასაწმენდად.

ზოგადი სახის შენიშვნები

1. ანგარიშის 9.1.3 ქვეთავში ვკითხულობთ, რომ „ზოგადად, ალტერნატიული საწვავის გამოყენების პროცესში ნახშირთან შედარებით ემისიების მნიშვნელოვანი ცვლილებების არ არსებობაზე მიუთითებს აგრეთვე (დანართი III -ის პუნქტი 2.)“. თუმცა, მესამე დანართში სრულიად სხვა ინფორმაციას ვხვდებით, კერძოდ აქ წარმოდგენილია კასპის საწარმოს გენ-გეგმა სანიაღვრე სისტემის და ჩაშვების წერტილის დატანით.

2. 7.4 ქვეთავში ცხრილის სახით წარმოდგენილია კასპის ცემენტის ქარხნის კლინკერის წარმოების სახის საწვავის შესაძლო ალტერნატიული ვარიანტების შედარება (გვ. 34). ერთიდაიგივე ცხრილში, CO₂-ის საერთო გაფრქვევის რაოდენობასთან დაკავშირებით სხვადასხვა ინფორმაციას ვხვდებით. ასე მაგალითად: ერთ უჯრაში წერია, რომ საერთო CO₂-ის გაფრქვევა (საწვავიდან) წელიწადში 300 ტ შეადგენს, იმავე ცხრილში ვკითხულობთ, რომ მისი რაოდენობა წელიწადში 341 727 შეადგენს. იგივე მეორდება მთლიან ცხრილში. აღნიშნული საჭიროებს დაზუსტებას.

საერთო დიფერენცია	ლაიცი/წელიწადი	112 007
CO ₂ -ის გაფრქვევის ნორმა	კვ/გვ	56,10
საერთო CO₂ -ის გაფრქვევა (საწვავიდან)	ტონა/წელიწადში	300
ქვანახშირი		
თბოუნარიანობა	გვ/ტონა	28,00
ბიომასის შემცველობა	%	-
წილი საერთო საწვავში	%	99,85
მოთხოვნილი წლიური მოხმარება	ტონა/ წელიწადი	127 130
ფასი	ლარი/ტონა	438
საერთო ღირებულება	ლარი/წელიწადი	55 657 709
CO ₂ -ის გაფრქვევის ნორმა	კვ/გვ	96,00
საერთო CO₂ -ის გაფრქვევა (საწვავიდან)	ტონა/წელიწადში	341 727
საწვავის მიქსი		
საშუალო თბოუნარიანობა	გვ/ტონა	28,01

საჯარო განხილვის ჩატარების შესახებ საზოგადოების ინფორმირება

2022 წლის 1 აპრილს ქ. კასპის მუნიციპალიტეტის მერიის შენობაში ჩატარდა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. საჯარო განხილვამდე მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები იმყოფებოდნენ

ფარნავაზის ქუჩაზე. როგორც მოსახლეობასთან საუბრისას გაირკვა, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა (კერძოდ: ფარნავაზის ქუჩის მაცხოვრებლები) დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობდა. განცხადებები, დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ არ ყოფილა გამოკრული არსად.

სამინისტრომ არ უზრუნველყო საჯარო განხილვის შესახებ განცხადების კანონის მოთხოვნის შესაბამისად გავრცელება და პროცესში დაინტერესებული საზოგადოების ჩართვა. შესაბამისად, 1 აპრილს შემდგარი შეხვედრა ვერ ჩაითვლება საჯარო განხილვად. აუცილებელია, სამინისტრომ კანონის მოთხოვნათა დაცვით გაავრცელოს ინფორმაცია საჯარო განხილვის შესახებ და უზრუნველყოს სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა.